




11.45

# СОБРАНІЕ

## Россійскихъ разговоровъ,

Въ общежитіи употребляемыхъ, съ пріобщеніемъ Грузинскаго перевода, въ пользу Благороднаго Юношества.

# შეკრება

## რუსულთა უბნობათა.

საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმნისათა, სასარგებლოდ კეთილ შობილთა ყრმათა.

Въ Тифлисѣ
ПриЕ Военно - походной Типографіи.
1819 года.

[illegible]

## ОГЛАВЛЕНІЕ. — სარჩევი — გვერდი

# Букварь Россійской съ Грузинскимъ.

## ანბანი რუსული ქართულითა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Азъ, | а. | აზ, | ა. | Твердо, | т. | ტვერდო, | ტ. |
| Буки, | б. | ბუკი, | ბ. | У, | у. | უ, | უ. |
| Вѣди, | в. | ვედი, | ვ. | Фертъ, | ф. | ფერტ, | ფ. |
| Глаголь, | г. | ღლაღოლ, | ღ.გ. | Херъ, | х. | ხერ, | ხ. |
| Добро, | д. | დობრო, | დ. | Цы, | ц. | ცი, | ც. |
| Есть, | е. | იესტ, | იე. | Червь, | ч. | ჩერვ, | ჩ. |
| Живѣте | ж. | ჟივეტე, | ჟ. | Ша, | ш. | შა, | შ. |
| Земля, | з. | ზემლია, | ზ. | Ща, | щ. | შჩა, | შჩ. |
| Иже, | и. | იჟე, | ი. | Еръ, | ъ. | იერ, | |
| І, | і. | ი, | ი. | Еры, | ы. | იერი, | ი. |
| Како, | к. | კაკო, | კ. | Ерь, | ь. | იერ, | |
| Люди, | л. | ლიუდი, | ლ. | Ять, | ѣ. | იატ, | იე. |
| Мыслѣте | м. | მისლეტე, | მ. | Э, | э. | ე, | ე. |
| Нашь, | н. | ნაშ, | ნ. | Ю, | ю. | იუ, | იუ. |
| Онъ, | о. | ონ, | ო. | Я, | я. | ია, | ია. |
| Покой, | п. | პოკოი, | პ. | Өита, | ѳ. | ფიტა, | ფ. |
| Рцы, | р. | რცი, | რ. | Ѵжица, | ѵ. | იჟიცა, | ი. |
| Слово, | с. | სლოვო, | ს. | | | | |

# Букварь Грузинскій съ Російскимъ.

## ანბანი ქართული რუსულითურთ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ან, | ა. | Анъ, | а. | ტარ, | ტ. | Таръ, | т. |
| ბან, | ბ. | Банъ, | б. | უნ, | უ. | Унъ, | у. |
| გან, | გ. | Ганъ, | г. | ვიე, | ჳ. | Віе, | ви, |
| დონ, | დ. | Донъ, | д. | ფარ, | ფ. | Фаръ, | п. |
| ენ, | ე. | Энъ, | э. | ქან, | ქ. | Канъ, | к. |
| ვინ, | ვ. | Винъ, | в. | ღან, | ღ. | Ганъ, | г. |
| ზენ, | ზ. | Зенъ, | з. | ყარ, | ყ. | Каръ, | кк. |
| ჱე, | ჱ. | Еэ, | е. | შინ, | შ. | Шинъ, | ш. |
| თან, | თ. | Танъ, | ѳ. | ჩინ, | ჩ. | Чинъ, | ч. |
| ინ, | ი. | Инъ, | и. | ცან, | ც. | Цанъ, | ц. |
| კან, | კ. | Канъ, | к. | ძილ, | ძ. | Дзилъ, | дз. |
| ლას, | ლ. | Ласъ, | л. | წილ, | წ. | Тцилъ, | ц. |
| მან, | მ. | Манъ, | м. | ჭარ, | ჭ. | Тчаръ, | ч. |
| ნარ, | ნ. | Наръ, | н. | ხან, | ხ. | Ханъ, | х. |
| ჲე, | ჲ. | Йе, | й. | ჴარ, | ჴ. | Харъ, | х. |
| ონ, | ო. | Онъ, | о. | ჯან, | ჯ. | Джанъ, | дж. |
| პარ, | პ. | Паръ, | п. | ჰაე, | ჰ. | Гаэ, | г. |
| ჟან, | ჟ. | Жанъ, | ж. | ჵე, | ჵ. | Гоэ, | го. |
| რაე, | რ. | Раэ, | р. | ჶა, | ჶ. | Фа, | ф. |
| სან, | ს. | Санъ, | с. | | | | |

## Числительныя имена количественныя.

## რიცხვითნი სახელნი რაოდენობითნი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | Одинъ, одна, одно. | ერთი. | одни, однѣ. | ერთნი. |
| 2. | Два, двѣ. | ორი. | двое, ორნი; оба. | ორნივე. |
| 3. | Три, | სამი. | Трое, | სამნი. |
| 4. | Четыре. | ოთხი. | Четверо. | ოთხნი. |
| 5. | Пять, | ხუთი. | Пятеро. | ხუთნი. |
| 6. | Шесть, | ექვსი. | Шестеро. | ექვსნი. |
| 7. | Семь, | შვიდი. | Семеро. | შვიდნი. |
| 8. | Восемь, | რვა. | Осмеро. | რვანი. |
| 9. | Девять | ცხრა. | Девятеро. | ცხრანი. |
| 10. | Десять. | ათი. | Десятеро. | ათნი. |

11. Одинадцать. თერთმეტი.
12. Двѣнадцать, или дванадесять. თორმეტი.
13. Тринадцать, или тринадѣсять. ცამეტი.
14. Четырнадцать, или четыренадесять. თოთხმეტი.
15. Пятнадцать. თხუთმეტი.
16. Шестнадцать. თექვსმეტი.
17. Семнадцать. ჩვიდმეტი.
18. Осмнадцать. თვრამეტი.
19. Девятнадцать. ცხრამეტი.
20. Двадцать, или двадесять ოცი
21. Двадцать одинъ. ოცდაერთი;
22. Двадцать два. ოცდაორი.
30. Тридцать, или тридесять. ოცდაათი.
40. Сорокъ. ორმოცი.
50. Пятьдесять. ორმოცდაათი.

60. Шестьдесять, სამოცი.
70. Семдесять, სამოცდაათი.
80. Восемдесять, ოთხმოცი.
90. Девяносто, ოთხმოცდაათი.
100 Сто ასი. 200. Двѣсти, ორასი. 300. Триста, სამასი. 400. Четыре ста, ოთხასი. 500. Пятьсотъ, ხუთასი. 600. Шестьсотъ, ექვსასი. 700. Семьсотъ, შვიდასი. 800. Восемьсотъ, რვაასი. 900. Девятьсотъ, ცხრაასი. 1000. Тысяча ათასი. 2000. Двѣ тысячи, ორი ათასი. 3000 Три тысячи, სამი ათასი. 4000. Четыре тысячи, ოთხი ათასი. 5000 Пять тысячь ხუთი ათასი. 6000 Шесть тысячь, ექვსი ათასი. 10000, Десять тысячь ათი ათასი. 100000 сто тысячь, ასი ათასი. 1000000 миллионъ მილიონი. 2000000 два миллиона, ორი მილიონი. 3000000, три миллиона, სამი მილიონი და სხვანი.

## Имена числительныя порядочныя.

## სახელნი რიცხვითნი წესისანი.

1. первый или первой, პირველი. 2. вторый или второй, მეორე. 3. третий, მესამე. 4. четвертый или четвертой, მეოთხე. 5. пятый или пятой, მეხუთე. 6. шестый или шестой, მეექვსე. 7. седьмый или седьмой, მეშვიდე. 8. осмый или осмой, მერვე. 9. девятый или девятой, მეცხრე. 10. десятый или десятой მეათე. 11. первыйнадесять или одинадцатый მეთერთმეტე. 12 вторыйнадесять или двенадцатый, მეთორმეტე. 13. третийнадесять или три-

надцатый, მეცამეტე, 14. четвертыйнадесять или четырнадцатый მეთოთხმეტე, 15. пятыйнадесять или пятнадцатый მეთხუთმეტე, 16. шестыйнадесять или шестнадцатой მეთექვსმეტე, 17. седьмыйнадесять или семнадцатый მეჩვიდმეტე, 18. осьмыйнадесять или осьмнадцатой მეთვრამეტე, 19. девятьйнадесять или девятнадцатой მეცხრამეტე, 20. двадесятый или двадцатый მეოცე, 21. двадцать первый ოცდა პირველი, ანუ ოცდა მეერთე, 22. двадцать второй ოცდა მეორე, 23. двадцать третий ოცდა მესამე, 30. тридесятый или тридцатый ოცდა მეათე, 40. сороковой მეორმოცე, 50 пятидесятый ორმოცდა მეათე, 60. шестидесятый მესამოცე, 70 семидесятый სამოცდა მეათე, 80. осьмидесятый მეოთხმოცე, 90 девяностый ოთხმოცდა მეათე, 100. сотый, მეასე, 200 двухсотый, მეორასე, 300 трехсотый, მესამასე, 400 четырехсотый მეოთხასე, 500. пятисотый მეხუთასე, 600 шестисотый მეექვსასე, 700 семисотый მეშვიდასე, 800 осьмисотый მერვასე, 900 девятисотый მეცხრასე, 1000 тысячный, მეათასე, 2000 двухтысячный მეორათასე, 3000, трехтысячный მესამათასე და სხვანი. 10000, десятитысячный მეათიათასე, 100000, стотысячный მეასიათასე, 200000, двухсоттысячный, მეორასიათასე, 1000000, миллионный, მემილიონე და სხვანი.

## Дни недѣльные. დღენი კჳრიასანი.

**Каждая недѣля имѣетъ семь дней.**

თჳთოეულს კჳრიას აქუს შჳდი დღე.

| | |
|---|---|
| Воскресеніе. | კჳრა. |
| Понедѣльникъ. | ორშაბათი. |
| Вторникъ. | სამშაბათი. |
| Середа или среда. | ოთხშაბათი. |
| Четвергъ или четвертокъ. | ხუთშაბათი. |
| Пятница или пятокъ. | პარასკევი. |
| Суббота. | შაბათი. |

## Наименованіе мѣсяцовъ. სახელნი თთუეთანი.

**Годъ имѣетъ двѣнадцать мѣсяцовъ.**

წელიწადსა აქუს ათორმეტი თთუე.

| | | | |
|---|---|---|---|
| Генварь. | იანვარი. | Іюль. | ივლისი ანუ მკათათვე. |
| Февраль. | თებერვალი. | Августъ. | აგვისტო ანუ მარიამობისთვე. |
| Мартъ. | მარტი. | Сентябрь. | სეკდემბერი ანუ ენკენისთვე. |
| Апрѣль. | აპრილი. | Октябрь. | ოკდომბერი ანუ ღვინობისთვე. |
| Май. | მაისი. | Ноябрь. | ნოემბერი ანუ გიორგობისთვე. |
| Іюнь. | ივნისი ანუ თიბათვე. | Декабрь. | დეკემბერი ანუ ქრისტეშობისთვე |

---

**Разговоръ 1-й.** — უბნობა 1.

*Какъ спрашивать и объясняться о здоровьѣ.* — როგორ უნდა ჰკითხოს და შეატყობინოს სიმრთელე.

Какъ вы поживаете? — როგორ ჰსცხოვრებით?

Какъ вы можете? — როგორ ბძანდებით?

Здоровы ли вы, каково ваше здоровье? — ხომ კარგა ბძანდებით, როგორ არის თქვენი სიმრთელე?

Все ли вы въ добромъ здоровьѣ? — როგორ მშვიდობით ბძანდებით?

Слава Богу. — მადლობა ღმერთისა.

Я здоровъ. — კარგათ გახლავარ.

Я весьма здоровъ. — მე ძალიან კარგად ვარ.

Посредственно. — საშუალოდ.

Кое какъ, помаленку. — როგორც არის, ცოტა ცოტადა.

Какъ видите. — როგორც ხედავთ.

А вы каковы, сударь! — თქვენ როგორღა ბძანდებით, ბატონო!

Я нездоровъ. — მე არა ვარ კარგათ.

Я не совсѣмъ здоровъ. — მე სრულიად არა ვარ კარგად.

Нито, ни сіо. — არც ასე, არც ისე.

Для меня это весьма прискорбно. — ჩემთვის ეს ძალიან შესაწუხებელია.

Я думалъ, что вы здоровы. — მე მეგონა, რომ თქვენ კარგად ბძანდებით.

**Разговоръ 2-й.** — უბნობა 2.

*Тогожъ содержанія* — მისვე ჰზრისა.

Я весьма радъ, что ви- — მე ძალიან მოხარული ვარ, რომ გხე-

| | |
|---|---|
| жу васъ здоровье. | [illegible] |
| Покорный пe благодарю. | [illegible] |
| Позволите спросить, какъ можетъ вашъ батюшка? | [illegible] მამა თქვენი? |
| Ваша матушка? | დედა თქვენი? |
| Вашъ дядюшка? | თქვენი ბიძა? |
| Вашъ братецъ? | თქვენი ძმა? |
| Вашъ двоюродной братецъ? | თქვენი ბიძაშვილი? |
| Здоровы ли они? | ხომ კარგად არიან? |
| Они всѣ слава Богу здоровы. | მადლობა ღმერთსა, ყველანი კარგად არიან. |
| Желаю, чтобъ всегда было такъ. | მსურს რომ ყოველთვის ეგრე იყოს. |
| Все ли въ добромъ здоровьѣ вашъ сынъ? | [illegible] თქვენ [illegible] |
| Онъ весьма здоровъ. | დიდად კარგადაა. |

## Разговоръ 3й.

## უბნობა 3.

*Тогожъ содержанія.*

მისივე შინაარსი.

| | |
|---|---|
| Я васъ весьма давно невидалъ. | მე თქვენ დიდი ხანია არ მინახავთ. |
| Гдѣ вы были въ продолженіе сего времяни? | სად იყავით ამდენს ხანს? |
| Не были ли вы больны? | ავად ხომ არ ყოფილხართ? |
| Все ли вы въ добромъ здоровьѣ? | [illegible] კარგად [illegible] |
| Не были ли вы чѣмъ либо больны? | [illegible] |

| | |
|---|---|
| Я примѣчаю, что вы были больны. | მე ვატყობ, რომ თქვენ ავად ყოფილხართ. |
| Вы весьма блѣдны. | თქვენ ძალიან ფერნაკლებად ხართ. |
| У васъ весьма худыя глаза. | თქვენ ძალიან გამხდარი თვალები გაქვსთ. |
| Въ самомъ дѣлѣ я былъ боленъ. | მართლად მე ავად ვიყავ. |
| Но, слава Богу, я уже здоровъ. | მაგრამ, მადლობა ღმერთისა, ახლა კარგათა ვარ. |

## Разговоръ 4-й

*Тоже содержанія.*

უბნობა 4.

მისივე აზრისა.

| | |
|---|---|
| Ахъ! какъ я не здоровъ. | ოჰ! როგორ ავათ ვარ. |
| Съ котораго времени вы захворали? | რახანია, რაც ავად გახდით? |
| Уже нѣсколько недѣль. | ბევრ რავდენიმე კვირა არის. |
| Какая у васъ болѣзнь? | რა სნეულება გემიზეზებათ? |
| Я незнаю самъ. | მე თვითონ არ ვიცი. |
| Я едва могу ходить. | მე ძლივ დავდივარ. |
| Весьма жалко, весьма сожалѣю. | დიდათ საწყალია, დიდათ ვსწუხვარ. |
| Что болѣе васъ обезпокоиваетъ? | რა უფრო გაღონებსთ? |
| У меня весьма болитъ голова, и при томъ еще лихорадка. | მე ძალიან მტკივა თავი და ამასთან კიდეც მაციებს. |
| У меня подагра. | მე მაქვს ნიკრისის ქარი. |
| У меня сильная простуда. | მე ძალიან გაციებული ვარ. |

У меня грудь болитъ. — მე გული მტკივა.

У меня болитъ горло. — მე ყელი მტკივა.

И весь, какъ разбитъ. — მე მთლად დამტვრეულსავით ვარ.

Уменя чрезвычайно болятъ глаза. — მე განსაკუთრებულად მტკივა თვალები.

Кто васъ лѣчитъ? — ვინა გწამლობს თქვენ?

Господинъ N.... — უფალი N....

Простите, государь мой! — მშვიდობით, ჩემო ბატონო!

Желаю вамъ скораго выздоровленія. — მსურს თქვენთვის მალე მორჩენა.

## Разговоръ 5-й. — უბნობა 5.

*Какъ прощаться.* — როგორ უნდა გამოეთხოვოს.

Прощайте милостивой государь! — მშვიდობით, მოწყალეო ხელმწიფევ!

Прощайте, батюшка! — მშვიდობით, მამავ!

Будьте здоровы, желаю вамъ всякаго благополучія. — იყავით მშვიდობით, მსურს თქვენ-თვს ყოველი ბედნიერება.

И вы также будьте здоровы. — აგრეთვე თქვენცა იყავით მშვიდობით.

До свиданія. — მეორეს ნახვამდინ.

До пріятнаго для меня свиданія. — ჩემთვის უსაამოვნეს ნახვამდე.

Простите, милостивый государь, до новаго свиданія. — მშვიდობით, მოწყალეო ხელმწიფევ, ახალს ნახვამდე.

Желаю вамъ пріятнаго пути. — მსურს თქვენდათვის სასიამოვნო გზა.

Желаю вамъ пріятнаго — მსურს თქვენთვის სასიამოვნო

сна, спокойной ночи. — ძილის ღამე განსვენებისა.

Пожалуйте, поклонитесь отъ меня дома. — წყალობას ვითხოვ, ჩემ მაგიერ თავი დაუკრათ შინ თქვენებს.

Прошу засвидѣтельствовать мое усердное почтеніе: — გთხოვ განუცხადო გულითადი ჩემი პატივისცემა:

Вашему батюшкѣ, — თქვენს მამას.

Вашему дядюшкѣ, — თქვენს ბიძას.

Вашей тещушкѣ. — თქვენს მამიდას.

Вашему братцу. — თქვენს ძმას.

Я вашъ слуга покорный. — მე თქვენი მორჩილი მსახური გახლავარ.

Прощайте. — მშვიდობით.

**Разговоръ 6-й.** — უბნობა 6.

*Тогожъ содержанія.* — მისივე აზრისა.

Мы должны разлучиться; намъ должно разстаться. — ჩვენ უნდა გავიყარნეთ, ჩვენ უნდა გავშორდეთ.

Я долженъ идти домой. — მე უნდა შინ წავიდე.

Какъ, вы уже уходите? — როგორ, თქვენ კიდეც მიხვალთ?

Вы весьма спѣшите. — თქვენ ძალიან ეშურებით.

Здѣлайте милость, подождите. — წყალობა მიილეთ, შეიცადეთ.

Погодите на нѣсколько минутъ. — მოიცადეთ რამდენსამე მინუტს.

Немогу. — არ შემიძლიან.

Ей, ей, не могу, право не могу. — მერწმუნეთ არ შემიძლიან, მართლად არ შემიძლიან.

| | |
|---|---|
| У меня есть необходимое дѣло. | მე მაქუს დიდი საჭირო საქმე. |
| Мнѣ должно еще сдѣлать визитъ. | მე უნდა კიდევ წავიდე სანახავად. |
| Я не хочу васъ удерживать. | მე არ მინდა თქვენი დაჭერა. |
| Какъ вамъ угодно. | როგორც გნებავდესთ. |
| Вы весьма милостивы. | თქვენ დიდად მოწყალე ხართ. |
| Когда же вы посѣтите насъ? | მაშ როდისღა მოგვხედავთ? |
| Когда мы будемъ имѣть удовольствіе, видѣть васъ у себя? | როდის გვექნება კმაყოფილება, რომ თქვენ ჩვენთან გნახოთ? |
| Я думаю весьма скоро. | მე მგონია, დიად მალე. |
| Можетъ быть, я приду завтра. | იქნება, მე მოვიდე ხვალა. |
| Послѣ завтра, на сихъ дняхъ. | ზეგ, ამ დღეებში. |
| Незабудьтеже. | ნუ დაივიწყებთ კი. |
| Будьте увѣрены. | სარწმუნო იყავით. |

## Разговоръ 7-й. — უბნობა 7.

| | |
|---|---|
| *Какъ спрашивать куда и откуда кто идетъ.* | როგორ ეკითხება, სად მიდის ვინმე ან საიდამ მოდის. |
| Куда вы идете, государь мой? | სად მიბძანდებით, ბატონო ჩემო? |
| Я иду въ церковь. | მე მივალ საყდარში. |
| Я иду домой. | მე მივალ შინ. |
| Я иду на рынокъ. | მე მივალ ბაზარში. |

| | |
|---|---|
| Безъ сомнѣнія, кое что купить. | უეჭველად, რისთვისმე სასყი-დლად. |
| Точно такъ. | დიახ ეგრე. |
| А вы, милостивый государь! откуда идете? | თქვენ, მოწყალეო ჴელმწიფევ: საიდამა მობრძანდებით? |
| Я иду изъ дому. | მე მოვალ შინიდამ. |
| Я иду отъ дядюшки. | მე მოვალ ბიძიასთანიდამ. |
| Я былъ въ саду. | მე ვიყავ ბაღში. |
| Я былъ у одного моего знакомаго. | მე ვიყავ ერთს ჩემს მცნო-თან. |
| А вы куда теперь пойдете? | თქვენ სადღა წახვალთ ეხლა? |
| Я иду къ моему портному | მე მივალ ჩემს მკერვალთან. |
| Къ своимъ роднымъ. | ჩემს ნათესავებთან. |
| Вы пойдете туда пѣшкомъ? | თქვენ იქ ქვეითათ წაბრძანდე-ბით? |
| Никакъ нѣтъ, я поѣду верхомъ, на дрожкахъ. | არა, რა ბძანებაა, მე წავალ ცხენით, დროშკით. |
| Не угодно ли вамъ, здѣлать мнѣ компанію? | არ გენებებათ, კამპანია გამი-კეთოთ! |
| Покорнѣйше благодарю. | უმორჩილესად გმადლობ. |
| Естьлибъ у меня было время, я бы пошелъ съ вами. | თუ დრო მქონდეს, გაახლებოდი თქვენთან. |
| Но я совершенно неимѣю времени. | მაგრამ მე სრულებით დრო არა მაქვს. |
| Надѣюсь, простите мнѣ, что я столь долгое время васъ удержалъ. | იმედი მაქვს, შემინდობთ, რომ ასე გრძელს ხანს დაგაყოვნეთ. |

| | |
|---|---|
| И такъ, безъ церемоній, прощайте. | ეგრეთ, უცერემონიოთ, მშვიდობით. |
| Простите и вы. | მშჳდობით თქვენ ცა. |
| **Разговоръ 8-й.** | **უ ბ ნ ო ბ ა 8.** |
| *Какъ спрашивать о новостяхъ.* | როგორ იკითხების ახალი ამბავები. |
| Что говорятъ новаго? | ახალს რას ლაპარაკობენ? |
| Нѣтъ ли какихъ новостей? | ახალი ამბავი არა არის რა? |
| Что слышно хорошаго? | კარგი ამბავი რა ისმის? |
| Незнаете ли вы какихъ нибудь новостей? | ახალი ამბავი ხომ არა იცით რა? |
| Что вы намъ скажете хорошаго? | ჩუენ რას მეტყუით კარგსა? |
| Ни чего, я совсѣмъ ни чего незнаю. | არასფერს, მე სულ არა ვიცირა. |
| А вы развѣ знаете какую? | განა თქვენ კი იცით რამე? |
| Нѣтъ, я также ничего незнаю. | არა, მეც აგრევე არა ვიცირა. |
| Однакожъ я думаю, вы слышали вчерашнюю вѣсть. | მაგრამ მე მგონია, თქვენ გაიგონებდით გუშინდელს ამბავს. |
| Нѣтъ, я не слыхалъ. | არა, მე არ გამიგონია. |
| А я слышалъ; только незнаю, правда ли? | მეკი გავიგონე; მაგრამ არ ვიცი, თუ მართალია? |
| Можетъ быть, это неправда. | იქნება, ეგ არ იყოს მართალი. |

Это весьма пріятная новость.

ეს დიდად სასიამოვნო ამბავია.

Дай Богъ, чтобъ это было правда.

ღმერთმან ინებოს, რომ ეს მართალი იყოს.

Я бы больше обрадовался.

მე უმეტესად გავიხარებდი.

Можетъ быть, вы этимъ интересуетесь; а для меня худая весть.

იქნება, თქვენ მაგისი სარგებელი გქონდესთ; ჴ ჩემთვის ცუდი ამბავია.

Отъ чего? мнѣ кажется что отъ того нѣтъ никакого и для васъ вреда.

რათა? მე მგონია, რომ ამისგან სავნებელი თქვენთვისაც არა არის რა.

Разговоръ 9-й.

*Тогожъ содержанія.*

უბნობა თ.

მისივე აზრისა.

Отъ чего это, что вы такъ печальны, государь мой?

ეს რისგან არის, რომ თქუენ ეგრე შეწუხებული ბრძანდებით, ხელმწიფეო ჩემო?

Я сего дня что-то весма невеселъ.

მე დღეს რაღაცა არა ვარ დიდად მხიარული.

Позволите ли, спросить того причину?

ნებას მომცემთ, მაგისი მიზეზი გკითხოთ?

Я бы весьма нежелалъ наскучить вамъ непріятнымъ повѣствованіемъ.

მე დიდად არა მსურს, რომ შეგაწყინოთ თქუენ უსიამოვნო ამბავითა.

Отнюдь ненаскучите, государь мой!

არას გზით არ შემაწყენთ, ხელმწიფეო ჩემო!

Я бы гораздо охотнѣе

მე უფრო ხალისით გიამბობთ,

разсказалъ это въ другой разъ.

ამას სხვას ჟამს.

Сдѣлайте милость разскажите мнѣ это.

წყალობა მოიღეთ, მიამბეთ მე ეგე.

Нѣтъ, нѣтъ, я боюсь, чтобъ вы того кому нибудь не расказали.

არა, არა, მე მეშინიან, რომ თქვენ ის არავის უამბოთ.

Вы обижаете меня подобною мыслію.

თქუენ მაწყინებთ მე მაგ გვარის ჰაზრითა.

Сдѣлайте милость, извините меня, что я не могу вамъ открыть моей горести.

წყალობა მიყავით, შემინდეთ, რომ მე არ შემიძლია თქუენდა გამოცხადება ჩემის მწუხარებისა.

По примѣчанію моему, это у васъ тайна.

ჩემის დანახვითი, ეგ თქუენ საიდუმლოთ გაქუსთ.

Но ежели я ее отгадаю?

მაგრამ მე რომ გამოვიცნა?

Не думаю, чтобъ вы могли отгадать.

ვერ მგონია, რომ თქუენ შეიძლოთ გამოცნობა.

Хотите ли, прозакладывать червонецъ, что я отгадаю?

გინდა დავნაძლევოთ ოქროზედ, რომ მე გამოვიცნა?

Извольте, червонецъ.

მაგონი ბძანდებით თუმნის ოქრო.

Неправда ли, что причиною этому отказъ господина М . . . . . ?

ეს მართალი არ არის, რომ მაგის მიზეზი არის უარის თქმა უფლისა მ. . . . ?

Это удивительно; кто научилъ васъ, быть такимъ хорошимъ угадчикомъ?

ეს საკვირველია; ვინ გასწავლა თქვენ ეგრე კარგად გამოცნობა?

Теперь вы должны от-

ახლა თქვენ უნდა გამოიცნოთ,

гадать, кто меня тому научилъ?

ვინ მასწავლა მე ეს?

Я не столь свѣдущъ, какъ вы, въ этой наукѣ.

მე მაგდენ დ მეცნიერი არა ვარ, როგორაც თქვენ, ამა სწავლისა.

Естьли бъ вы только хотѣли, что я разказалъ бы вамъ еще гораздо болѣе

თუკი გენებებათ, მაშინ მე გაამბობ კიდევ უფრო იქმსა.

## Разговоръ 10-й.

## უბნობა 10.

*Тожъ содержанія.*

მისივე აზრისა.

Какъ поживаетъ Господинъ N?

როგორ სცხოვრებს უფალი ნ.?

Когда вы его видѣли?

თქვენ როდის ნახეთ იგი?

Я видѣлъ его вчера по утру.

მე ვნახე იგი გუშინ დილას.

Правда ли, что про него говорятъ?

მართალია, რასაც იმაზედ ლაპარაკობენ?

А что такое?

რა, რას ამბობენ?

Не ужели вы ни чего о томъ неслыхали?

განა თქვენ მაგაზედ არა გაგიგონიათ რა?

Сказываютъ, что онъ въ игрѣ поссорился.

ამბობენ, რომ ის თამაშობაში წაეკიდებია.

Съ кѣмъ?

ვისთან?

Съ какимъ-то Гвардейскимъ Офицеромъ?

ვიღაცა დვარდიის ოფიცერთან.

Эта ссора должна быть весьма не пріятна.

ეს წაკიდება დიდად უსიამოვნო უნდა იყოს.

Не дралисьли они?

ერთიერთის იცემს ხომ არ ...

| | |
|---|---|
| | მიათ? |
| Не было ли у нихъ поединка? | ერთმანერთი ხომ არ გამოუთხოვნიათ? |
| Дрались сударь. | უცემიათ ერთმანერთისა თვს, ბატონო. |
| Не раненъ ли Господинъ N...? | ხომ არ დაჭრილა უფალი ნ...? |
| Говорятъ, что онъ смертельно раненъ. | ამბობენ, რომ ის სასიკვდილოდ დაჭრილა. |
| Жаль; онъ весьма честный человѣкъ. | მენანება; ის დიდად პატიოსანი კაცია. |
| Офицеръ былъ виноватъ. | ოფიცერს ჰქონია დანაშაული. |
| Всѣ оправдываютъ Г. N. | ყველანი ამართლებენ უფალს ნ. |
| За что они поссорились? | რაზედ წაკიდებულან? |
| Объ этомъ ничего не знаю. | მაგისი არა ვიცი. |
| Говорятъ, что Офицеръ назвалъ его лжецомъ. | ამბობენ, რომ ოფიცერმა უწოდა მას ცრუდ. |
| Я тому невѣрю. | მე ეგ არა მჯერა. |
| И я такъ же. | არც მე. |
| Какъ бы то ни было, это скоро можно узнать. | როგორადაც უნდა ყოფილიყოს, მალე შეიძლება მაგისი შეტყობა. |
| Я развѣдаю объ этомъ въ его домѣ. | მე გამოვიკითხავ მაგას იმისს სახლში |

## Разговоръ 11.й. — უბნობა 11.

*Какъ спрашивать о чемъ и проч.* — როგორ უნდა ჰკითხო რამე და სხვანი.

| | |
|---|---|
| Послушай, поди сюда. | გამიგონე, აქ მოდი. |
| Чего вамъ угодно? | რა გენებებათ? |
| Чего изволите? | რა გებრძანებათ? |
| Что прикажете? | რას მიბძანებთ? |
| Вотъ я здѣсь. | აი მე აქა ვარ. |
| Подай мнѣ это. | მომეცი ესე. |
| Подай мнѣ сюда. | აქ მომეცი. |
| Поди, принеси это. | მოდი, მომეცი ესე. |
| Поди, сыщи его. | წადი, მოძებნე ისი. |
| Достань сюда. | აქ, მომაწოდე. |
| Что ты тамъ ищешь? | მანდ რას ეძებ? |
| Чего вамъ тамъ угодно? | მანდ რა გენებებათ? |
| Не изволители вы чего искать? | ხომ არას ეძებთ? |
| Что у васъ тамъ? | მანდ რა გაქვსთ? |
| Не спрашивальли меня кто нибудь? | ხომ არავის უკითხავვარ? |
| За чѣмъ меня спрашивали? | რად მკითხულობდნენ? |
| Кого вы спрашиваете? | ვის კითხულობთ? |
| Кого вы ищете? | ვის ეძებთ? |

## Разговоръ 12-й. — ყბნობა 12.

## *Тогожъ содержанія.* — მისვე აზრისა.

| | |
|---|---|
| Кто тамъ? | ვინ ხარ მანდ? |
| Кто это таковъ? | ეს ვინ არის? |
| Что онъ говоритъ? | რას ამბობს? |
| Что онъ вамъ сказалъ? | რა გითხრა თქვენ მაგან? |
| Что вы говорите? | რას ამბობთ თქვენ? |

| | |
|---|---|
| Что хотите вы сказать? | რა გინდათ თქვენ სათქმელად? |
| Что вы сказали? | რა სთქვით? |
| Что вы изволили сказать? | რა ბძანეთ? |
| Что вы изволите сказать? | რას ბძანებთ? |
| Я говорю, что такъ. | მე ვამბობ, რომ ასეა. |
| Я говорю, что нѣтъ. | მე ვამბობ, რომ არა. |
| Кто вамъ это сказалъ? | ვინ გითხრათ თქვენ ეგე? |
| Мнѣ сказали. | მე მითხრეს. |
| Я это слышалъ. | მე ეს გავიგონე. |
| Всѣ это говорятъ. | ყველანი ამას ლაპარაკობენ. |
| Г. N . . . мнѣ это сказалъ. | უფალმა ნ.. მე ეს მითხრა. |
| Сказывалъ ли онъ вамъ? | გითხრა თქვენ იმან? |
| Точно сказалъ. | დიახ მითხრა. |
| Съ какой стати онъ это сказалъ? | რის შესაფერად უთქვამს ეგე? |
| Кому вы говорите? | ვის ეუბნებით? |
| Мнѣ вы говорите? | მე მეუბნებით? |
| Мнѣ изволите говорить? | მე მიბძანებთ? |
| Чего вы отъ меня хотите? | რა გინდათ ჩემგან? |
| Чего вы желаете? | რა გნებავსთ? |
| Развѣ это такъ нужно, къ спѣху? | ნუთუ ეგ ეგრე საჭიროა, სა-შური? |
| Что вы такъ торопитесь? | ეგრე რას ეშურებით? |

| | |
|---|---|
| Къ чему вамъ это нужно? | თქვენ ეს რისთვის გეჭირებათ? |
| Какое вамъ до этаго дѣло? | თქვენ ამასთან რა საქმე გაქვსთ? |
| Вамъ какая нужда? | თქვენ რა გენაღვლებათ? |
| Что вы заботитесь? | თქვენ რას ცოდვილობთ? |
| Что вы хлопочите? | |

## Разговоръ 13-й. / უბნობა 13.

### *Тогожъ содержанія.* / მისვე აზრისა.

| | |
|---|---|
| Что вы дѣлаете? | რას აკეთებთ? |
| Что онъ дѣлаетъ? | ის რას აკეთებს? |
| Что она здѣсь дѣлаетъ | ის ( ქალი ) აქ რას აკეთებს? |
| Что вы хорошаго подѣлываете? | კარგს რას მოქმედობთ? |
| Я ничего не дѣлаю. | მე არაფერს ვაკეთებ. |
| Я ничего не дѣлалъ. | მე არფერს ვაკეთებდი. |
| Кое что. | რაღაებსაც. |
| Сдѣлали ли вы? | გააკეთეთ თქვენ? |
| Сдѣлалъ ли онъ? | გააკეთა იმან!? |
| Сдѣлала ли она? | გააკეთა იმან ( ქალმა ) |
| Не знаю. | არ ვიცი. |
| По чему я это знаю. | ეგ მე რავიცი. |
| Я ничего незнаю, чтобы онъ сдѣлалъ. | მე არა ვიცოდი, რომ იმას გააკეთებინის. |
| О чемъ вы думаете? | რაზედ ჰფიქრობთ? |
| Чемъ вы забавляетесь? | რას მექცევით? |
| Въ чемъ вы проводите время, упражняетесь? | რაში ატარებთ დროს, მოქმედობთ? |

Чего вамъ еще не достаетъ? — რა გაკლია კიდევ თქვენ?

Что это значитъ? — ვითამ ეს რა არის?

Къ чему это служитъ? — ეს რის სახმარია?

Понимаетели вы меня? — გეყურებათ ჩემი?

Какъ называется это по Русски? — ამას რა ჰქვიან რუსულად?

## Разговоръ 14-й. — უ ბ ნ ო ბ ა 14.

### *О времяни.* — დროჲსათვს

Не знаетели которой теперь часъ? — ხომ არ იცით, ახლა რომელი საათია?

Пожалуйте скажите мнѣ, которой часъ? — ერთი მიბძანეთ, რომელი საათია?

Сколько часовъ? — რამდენი საათია?

Часъ. — ერთი საათია.

Скоробитьбудетъчасъ. — მალე დაჰკრავს ერთს საათს.

Безъ малаго часъ. — ცოტა უკლია ერთს საათს.

Скоро ударитъ два часа. — მალე დაჰკრავს ორს საათს.

Скоро пробьетъ три часа. — მალე დარეკს სამ საათს.

Четыре часа. — ოთხი საათია.

Почти пять часовъ. — თითქმის ხუთი საათია.

Четверть седьмаго. — ერთი რუბია მეშვ. დ სა.

Безъ нѣсколькихъ минутъ сѣмь часовъ, — რამდენსამე მინუტს აკლდა შვიდი საათია.

Тричетверти девятаго — სამი რუბია მეცხრისა.

Половина десятаго. — ნახევარია მეათისა.

Не било ли одинадцати — ხომ არ დაუკრავს თერთმეტი

часовъ?
Теперь только било.
Уже давно било.
Не ужели такъ поздно?
Я ни какъ недумалъ, чтобъ было такъ поздно.
Уже полдень, двѣнадцать часовъ.

## Разговоръ 15-й.

*Тожъ содержанія.*

Нѣтъ ли съ вами часовъ?
Неизволите ли имѣть съ собою часовъ?
Ихъ нѣтъ сомною.
Я оставилъ ихъ дома.
Я отослалъ ихъ къ часовому мастеру.
А который часъ на вашихъ часахъ?
Полночь, двѣнадцать часовъ (ночи.)
Четверть перваго.
Половина перваго.
Три четверти перваго.
Вѣрно ли они идутъ?
Хорошо ли они идутъ?
Они уходютъ.

საათი?
ეს არი ეხლა დაჰკრა.
დიდი ხანია დაჰკრა.
განა აგრე დიდი ხანია?
მე არას გზით არ მეგონა, რომ აგრე გვიან იყოს.
კიდეც შუადღეა, თორმეტი საათი.

## უბნობა 15,

მისვე აზრისა.

თქვენთან საათი ხომ არა გაქვსთ?
ხომ არ გახლავსთ თან საათი?
ის არა მაქვს ჩემთან.
შინ დამრჩა მე ის.
მე გავგზავნე ის მესაათესთან.
რომელი საათია თქვენ საათში?
შუაღამეა, თორმეტი საათია (ღამისა).
ერთი ოთხუთი პირველისა.
ნახევარი პირველისა,
სამი ოთხუთი პირველისა.
ხომ სწორეთ დადის?
ხომ კარგად დადის?
წინ მიდის.

| | |
|---|---|
| Они збиваются. | შესწყდება ხოლმე. |
| Отстают. | უკან დგება. |
| Часто останавливаются. | ხშირად დადგება ხოლმე. |
| Они ушли. | წინ წასულა. |
| Они нехорошо идутъ. | ცუდად მუშაობს. |
| Они идутъ довольно вѣрно. | სწორედ მუშაობს. |
| Ихъ надобно завести. | მომართვა უნდა. |
| Ихъ надобно отдать починить. Ихъ должно отдать въ починку. | უნდა მივსცე გასაკეთებლად. |
| Ихъ надобно отослать къ часовому мастеру. | უნდა გავგზავნო მესაათესთან. |

## Разговоръ 16-й. — უბნობა 16.

### *Тогожъ содержанія.* — მისვე აზრისა.

| | |
|---|---|
| Пожалуйте, покажите мнѣ ваши часы. | ინებეთ, მაჩვენე მე თქვენი საათი. |
| Извольте. | მიირთვით. |
| Неиспортите ихъ. | ნუ წახდენთ. |
| Берегитесь, чтобъ ихъ не уронить. | გაუფრთხილდით, რომ არ გააგდოთ. |
| Ихъ вѣсьма не мудрено испортить. | მაგისი წახდენა ძალიან ძნელი კი არ არის. |
| Какіе это часы? | ეს რა საათია? |
| Золотые, серебряные. | ოქროსია. ვერცხლისა. |
| Англинскіе ли это часы? | ანგლიურია ეს საათი? |

Английскіе.

ანგლიურია.

Что вы за нихъ заплатили, дали?

რა მიეცით მაგაში?

Я заплатилъ за нихъ двѣсти рублей.

მე მივეც მაგაში ოცი თუმანი.

Я далъ за нихъ сто рублей.

მე მივეც მაგაში ათი თუმანი.

Я купилъ ихъ за пять десять рублей.

მე ვიყიდე ეს ხუთ თუმნად.

Это весьма дорого.

ეს ძალიან ძვირია.

Это дешево.

ეს იაფია.

Въ которомъ часу вы заводите ваши часы?

რომელს საათზედ მომართავთ ხოლმე თქვენს საათს?

Всегда въ полдень.

სიადაგ შუადღისას.

Я ставлю ихъ по моимъ стѣннымъ часамъ.

მე დავაყენებ ხოლმე ჩემს კედლის საათზედ.

Я ихъ ставлю по солнечнымъ часамъ.

მე დავაყენებ ხოლმე მზის საათზედ.

А я ставлю мои по дворцовымъ часамъ.

მეკი ჩემსას დავაყენებ ხოლმე სასახლის საათზედ.

## Разговоръ 17 й.

## ყ ბ ნ ო ბ ა 17.

*Тогожъ содержанія.*

მისვე აზრისა.

Давно ли видѣли вы вашего братца?

დიდი ხანია რაც თქვენი ძმა გინახავსთ?

Нѣсколько уже тому дней.

რამდენიმე დღე იქნება მას აქეთ.

Вчера; третьяго дня.

გუშინ; გუშინწინ.

Уже давно.

დიდი ხანია.

| | |
|---|---|
| Съ недѣлю. | ერთი კვირა იქნება. |
| Недѣли съ двѣ. | ორი კვირა იქნება. |
| Съ мѣсяцъ. | ერთი თვე იქნება. |
| Когда поѣдиmе вы въ деревню? | როდის წაბრძანდებით თქვენ სოფელში? |
| Чрезъ мѣсяцъ. | ერთს თვეს უკან. |
| Чрезъ недѣлю. | ერთს კვირას უკან. |
| Чрезъ двѣ недѣли оmъ завmрешняго дня. | ორს კვირას უკან ხვალინდელის დღიდამ. |
| Чрезъ пяmь, шесmь недѣль. | ხუთს, ექვსს კვირას უკან. |
| А давно вы сюда пріѣхали? | დიდი ხანია თქვენ აქ მოსულ-ხართ? |
| Три мѣсяца. | სამი თვეა. |
| Полгода, годъ. | ნახევარ წელიწადია, წელიწადია. |
| Девяmь мѣсяцовъ. | ცხრა თვეა. |
| Уже годъ и mри мѣсяца. | აგერ წელიწადი და სამი თვეა. |
| Полmора года. | წელიწად ნახევარია. |
| Два года. | ორი წელიწადია. |
| Коmораго числа вы пріехали.? | რომელს რიცხვში მოსვედით? |
| Пяmаго Апрѣля, mысяча восемь соmъ шеснадцаmаго года. | ხუთს აპრილს, ათას რვაას მეთექვსმეტე წელიწადში. |
| Въ коmоромъ году вы начали учиmся по Русски? | რომელს წელიწადში დაიწყევით რუ[illegible] სწავლა? |
| Въ mысяча восемь соmъ | ათას [illegible] მეჩვიდმეტეში. |

| | |
|---|---|
| семнадцатомъ. | |
| Какой у насъ нынѣ годъ? | რომელი წელიწადია ეხლა ჩვენში? |
| Тысяча восемъ сотъ восемнадцатый. | ათას რვაას მეათჳრამეტე. |
| Которое нынѣ число? | რომელი რიცხვა დღეს? |
| Которое число у насъ? | რომელი რიცხვა ჩვენში? |
| Второе Маія. | მაისის ორი. |
| Какой сего дни день? | დღეს რა დღეა? |
| Четвергъ, четвертокъ. | ხუთ შაბათი. |

## Разговоръ 18-й. — უ ბ ნ ო ბ ა 18.

| | |
|---|---|
| *Какъ приказывать.* | როგორ უნდა უბრძანოს. |
| Подитте сюда, пожалуйте. | მოდით აქა, მობძანდი. |
| Послушайте, выслушай. | გამიგონეთ, მომისმინე. |
| Остановитесь, постой. | დასდეგით, შემიცადე. |
| Взойдите, взойди. | ამობძანდით, ამოდით. |
| Сойдите, сойди. | ჩამობძანდით, ჩამოდი. |
| Взойдите (войдите) въ горницу. | შემობძანდით შინ. |
| Выдьте, выходи. | გაბძანდით, გადი. |
| Подойдите, подойди. | მობძანდით, მოდი (ახლო). |
| Не трогайтесь. | ნუ დაიძვრით. |
| Не трогайтесь оттуда. | ნუ დაიძვრი მანდედამ. |
| Стойте, стой. | დადექით, დადექ. |

| | |
|---|---|
| Стойте прямо. | დადექით სწორედ. |
| Стойте смирно. | დადექით წყნარად. |
| Чтобъ васъ неслышно было. | რომ თქვენი ხმა არ ისმოდეს. |
| Останьтесь тамъ. | მანდ იყავით. |
| Подвиньтесь ко мнѣ. | მოიწიეთ ჩემკენ. |
| Отступите, отодвиньтесь. | მიდეგით, მიიწიეთ. |
| Отстоupронитесь, отойди. | ჩამოდეგით, წადი, გაშორდი. |
| Отворите дверь, окно. | გააღეთ კარი, ფანჯარა. |
| Затворите. | მოხურეთ, მოუკლეთ. |
| Выдьте отпуда, выдь вонъ. | გამოდით მაინდამ, გადი გარეთ. |
| Отойдите, отойди прочь. | წადით, წადით სხუაგან. |
| Прочь, долой съ глазъ моихъ. | წადი, მომშორდი თუალიდამ. |

**Разговоръ 19-й.** — **უბნობა. 19.**

*Тогожъ содержанія* — მისვე ჰაზრისა.

| | |
|---|---|
| Отступите, отодвиньтесь не много. | ჩამოდეგით, მიიწიეთ ჰატარა. |
| Отойди отъ свѣту. | ჩამოდეგ სინათლიდამ. |
| Отними, возми это прочь. | ჩამოცალე, წაიღე ეს იქით. |
| Оставте это. | დაეხსენით მაგას |
| Нетрогайте этого. | ნუ აცოდვილებთ მაგას. |
| Нетрогайте меня. | ნუ მაცოდვილებთ მე. |

| | |
|---|---|
| Оставьте меня въ покоѣ. | დამეხსენით, მომასვენეთ |
| Поди сюда, подите тутъ. | მოდი აქ, მიდით მანდ. |
| Пройдите здѣсь. | გამოიარეთ აქ. |
| Подождите меня. | დამიცადეთ მე. |
| Погоди немного. | დაიცადე პაწარა. |
| Повремените здѣсь нѣсколько. | შეიცადეთ აქა რამდენსამე ხანს. |
| Не идите такъ скоро. | ნუ მიხჳალთ ეგრე ჩქარა. |
| Вы идете весьма скоро. | თქუენ მიხჳალთ ძალიან ჩქარა. |
| Отвѣчайте мнѣ. | პასუხი მომეცით, ხმა გამეცით. |
| Что вы мнѣ не отвѣчаете? | რაგომ პასუხს არ მაძლევთ? |
| Что вы неговорите? | რაგომ არას ამბობთ? |
| Говорите съ нимъ. | ელაპარაკეთ მაგას. |
| Я хочу съ вами говорить. | მე მინდა თქუენთან ლაპარაკი. |
| Я хочу вамъ сказать. | მე მინდა თქუენ გითხრათ. |

## Разговоръ 20-й. ჟბნობა. 20.

| | |
|---|---|
| *Какъ подтверждать, отрицать, соглашаться и проч.* | როგორ უნდა დაუმტკიცოს, უარ ყოთქუს, ეთანხმოს და სხუანი. |
| Правда, это правда. | მართალია, ეგ მართალია. |
| Правдали, правдали это? | მართალია, ერთამ მართალია ეგ? |
| Точно такъ, сущая правда, истинно. | დიახ ეგრეა, სწორე დამართალია, ჭეშმარიტია. |

| | |
|---|---|
| Я васъ увѣряю. | მე თქუენ გარწმუნებ. |
| Я осмѣливаюсь васъ въ томъ увѣрить. | მე გავბედავ, რომ ამაზედ თქუენ დაგარწმუნოთ. |
| Я говорю вамъ въ правду. | მე მოგახსენებ თქუენ სიმართლითა. |
| По истинѣ, по совѣсти, по чести. | ჭეშმარიტებითა, სინიდისით და პატიოსნებითა. |
| Ручаюсь жизнію. | თავსმდებად ვდევარ სიცოცხლითა. |
| Кленусь вамъ, какъ честный человѣкъ. | გეფიცები თქუენ, როგორც პატიოსანი კაცი |
| Повѣрьте мнѣ. | მერწმუნეთ მე, დამიჯერეთ. |
| Повѣрьте моему слову. | ერწმუნეთ ჩემს სიტყუასა. |
| Это точно, справедливо. | ეგ სწორედ, მართალია. |
| Это сказки, выдумка, пустяки. | ეგ არის ზღაპარი, მოგონილი, სიცრუე. |
| Это не возможно, не можетъ быть, нельзя статься, отнюдь нельзя. | ეგ შეუძლებელია, არ შეიძლება, არ იქნება, არას გზით არ იქნება. |
| Это ложь, это неправда. | ეგ სიცრუეა, ეგ არ არის მართალი. |
| Вамъ налгали, васъ обманули. | თქუენთვს უცრუვნიათ, თქუენ მოუტყუებიხართ. |
| Я бьюсь объ закладъ, что такъ. | მე დაგენაძლევები, რომ ასეა. |
| Я бьюсь объ закладъ, что нѣтъ. | მე დაგენაძლევები, რომ ეგრე არ არის. |
| Я бьюсь, о чемъ вамъ | მე დაგენაძლევები, რაზედაც: |

| | |
|---|---|
| угодно. | გენებავსთ. |
| Отнюдь не должно вѣрить всему слышанному. | არას გზით ყოვლად გაგონილი არ უნდა დაიჯეროთ. |
| Или, можетъ быть, вы шутите со мною. | ან იქნება, თქვენ მეხუმრებოდეთ მე. |
| Сказать вамъ правду? | მართალი გითხრა? |
| Вы отгадали, попали. | თქვენ შეიტყუეთ, მიაგენით. |
| Вы не обманулись | თქვენ არ მოსტყუვდით. |
| Я сказалъ это для смѣху. | მე ვსთქვი ეს საცინელად. |
| Я сказалъ это шутя, въ шутку. | მე ვსთქვ ეს ხუმრობით, სახუმაროდ. |

## Разговоръ 21-й. · უბნობა. 21 ·

### *Какъ просить.* — როგორ უნდა სთხოვოს.

| | |
|---|---|
| Сдѣлайте милость, пожалуйте мнѣ это. | წყალობა მოიღეთ, ეს მე მიბოძეთ. |
| Пожалуйте, дайте мнѣ это. | ეს მე მიბოძეთ. |
| Покорнѣйше прошу. | უმორჩილესად გთხოვ. |
| Я васъ отомъ прошу. | მე თქვენ ამაზედ ვეხვეწები. |
| Умоляю васъ. | გევედრები თქვენ. |
| Заклинаю васъ. | გაფიცებ თქვენ. |
| Всепокорнѣйше прошу васъ. | უმორჩილესად გთხოვ თქვენ. |
| Сдѣлайте мнѣ милость. | წყალობა მიყავით. |
| Окажите мнѣ сей знакъ дружбы. | მიჩვენეთ მე ეს მეგობრობის ნიშანი. |
| Обяжите меня этимъ. | დამავალეთ მე ეს. |

| | |
|---|---|
| Вы меня крайне обяжете. | თქვენ დიდათ დამავალებთ. |
| Вы здѣлаете мнѣ особенное удовольствіе. | თქვენ მიზამთ მე საკუთარს კმაყოფილებასა. |
| Весьма охотно, съ великою охотою. | დიად ხალისით, დიდის ხალისით |
| Отъ всего сердца. | ყოვლის გულით. |
| Все, что вамъ угодно, прикажите. | სულ ყველა რაც გეპრიანებოდესთ, მიბრძანეთ. |
| Удостойте меня, осчастливите вашими приказаніями. | მაღირსეთ მე, გამაბედნიერეთ თქვენის ბრძანებით. |
| Когда отправитесь вы въ деревню? | როდის წაბძანდებით თქვენ სოფელში? |
| Завтра, послѣ завтра. | ხვალ, ხვალ ზეით, ზეგ. |
| Не можители взять съ собой письмо къ одному моему пріятелю? | არ შეიძლება წაიღოთ თქვენთან წიგნი ერთის ჩემის მეგობარის? |
| Когда могу прислать его къ вамъ? | როდის შემეძლება, რომ თქვენთან გამოვგზავნო იგი? |
| Куда его прислать къ вамъ? | სად გამოვგზავნო თქვენთან? |
| Я зайду заниъ завтра. | მე გამოვივლი ხვალ იმისთვის. |
| Вы очень милостивы, благосклонны. | თქვენ დიდად მწყალობელნი ხართ. |
| Оно будетъ готово. | ის მზად მექნება. |

## Разговоръ 22-й. — უბნობა. 22.

### *Тогожъ содержанія.* — მისივე აზრისა.

| | |
|---|---|
| Одолжите мнѣ эту | მათხოვეთ მე ეს წიგნი. |

книгу.

Сдѣлайте милость пожалуйте мнѣ эту книгу.

წყალობა მიყავით, მიბოძეთ მე ეგ წიგნი.

Вы меня обяжете.

თქვენ მე დამავალებთ.

Вы меня тѣмъ очень обяжете.

თქვენ მაგითი დიდად დამავალებთ.

Вы сдѣлаете мнѣ великое удовольствіе.

თქვენ მიზამთ მე დიდს კმაყოფილებასა.

Вы доставите мнѣ особеннѣйшее удовольствіе.

თქვენ მომცემთ მე უსაკუთრესს კმაყოფილებას.

Я возвращу вамъ ее чрезъ двѣ недѣли.

მე მოგიბრუნებთ თქვენ მაგას ორს კვირაზედ.

А можетъ быть и ранѣе, естьли она вамъ нужна.

ან იქნება უწინ ადრეც, თუ თქვენ გეჭიროებათ.

Держите ее у себя, сколько вамъ угодно.

გქონდესთ ეგ თქვენ თანა, რამდენს ხანსაც გენებებათ.

Читайте ее, какъ вамъ случится.

იკითხეთ ეგე, როგორც დრო შეგხუდესთ.

Она къ вашимъ услугамъ.

ეგ არის თქვენის სიამოვნისა თვის.

Естлибъ я могъ услужить вамъ въ чемъ другомъ.

ნეტავი შემეძლოს, რომ გემსახურო თქვენ სხვა რამე.

То здѣлалъ бы то отъ всего моего сердца.

მაშინ ვიქმოდი მას სრულის გულითა ჩემითა.

Я не могу вамъ ее дать.

მე არ შემიძლიან თქვენთვის მაგისი მოცემა.

Я не охотникъ давать

მე არ ვარ მოყვარე ჩემის წიგნების

мои книги.

гацеасა.

Она не моя, чужая.

ეგ ჩემი არარის, სხვისა.

Она мнѣ не принадлежитъ.

ეგ მე არ მეკუთნვის.

## Разговоръ 23 й.

## უბნობა 25.

*Какъ отказать въ прозбѣ.*

როგორ უთხრას უარი თხოვაზე.

Я не могу ссудить васъ просимыми вами деньгами.

მე არ შემიძლია ქელის გამართჳა თქვენი თხოვნილის ფულითა.

Не прогнѣвайтесь, если я вамъ въ томъ откажу.

ნუ გამიწყრებით, რომ მე ამაზედ უარი გითხრათ.

Я бъ желалъ одолжить васъ чѣмъ либо другимъ.

მე მსურის დავალება თქვენი, სხვით რითმე.

И очень сожалѣю, что немогу вамъ тѣмъ служить.

ძ ლიად ვწუხს, რომ არ შემიძლიან ამითი მსახურება თქვენი.

Я не въ состоянiи васъ удовлетворить.

მე არ შემიძლიან თქვენი კმაყოფა.

Естли я могу служить вамъ чѣмъ либо другимъ.

თუ რომ შემეძლოს მსახურება თქვენი სხვით რითმე.

То вы доставите мнѣ удовольствiе, ежели меня на то употребите.

თქვენ მომცემთ მე კმაყოფილებასა, თუ იმაზედ მე მოიხმარებთ.

Я бы охотно желалъ исполнить вашу прозбу.

მე ხალისით ვინებ დამეხ თქვენის სამსახურის აღსრულებას.

| | |
|---|---|
| Естьлибъ это зависѣло только отъ меня, что вы были бы немедленно удовлетворены. | თუკი ეს დამოკიდებული იყო ჩემზედ, მაშინ თქვენ დაუყოვნებლად კმაყოფილ იქმნებოდით. |
| Извините мою невозможность. | შეუნდეთ ჩემს შეუძლებლობას. |
| Я ни какъ не могу этого сдѣлать. | მე არას გზით არ შემიძლიან მაგისი ქმნა. |
| Вы сами видите мою, невозможность, служить вамъ въ этомъ случаѣ. | თქვენ თვით ჰხედავთ ჩემს შეუძლებლობას, რომ გემსახუროთ ამ შემთხვევაში. |
| Для меня очень больно, что я принужденъ вамъ отказать. | ჩემ თვის ძალიან საწყენია, რომ იძულებული ვარ თქვენის უარის თქმისა. |
| Я увѣряю васъ, что это совершенно противъ моей воли. | მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ეს სრულებით ჩემის ნების წინა აღმდგომად არის. |

## Разговоръ 24-й. — უბნობა. 24.

| | |
|---|---|
| *Какъ извиниться.* | როგორ უნდა მოიბოდიშოს. |
| Я очень сожалѣю, что долженъ былъ вамъ отказать. | მე ძალიან ვწუხს, რომ თქვენთვის უარის თქმის მოვალე ვიყავ. |
| Естьли я васъ обидѣлъ, то прошу въ томъ извиненія. | თუ მე თქვენ გაწყენინე რაი, მე ვითხოვ ამაზედ შენდობას. |
| Я ни какъ недумалъ васъ обидѣть. | მე არა როგორც მომიფიქრებია თქვენი წყენინება. |
| Я весьма сожалѣю, что | მე ძალიან ვწუხვარ, რომ შე- |

вовлекъ васъ въ сію печаль.

გიყვანე თქვენ ამ ჭუენაში.

Я сдѣлалъ это безъ всякаго намѣренія, и такъ пожалуйте простите меня въ томъ.

მე მომიხდა ეს ყოვლითურთ განუზრახველად, და ამად ინებეთ ჩემი შენდობა ამაში.

Я васъ увѣряю, что этого впредь не случится.

მე თქვენ დაგარწმუნებ, რომ ეს კულავ აღარ მომიხდება.

Пожалуйте простите мою ошибку, вину.

ინებეთ მომიტევეთ ჩემი შეცთომა, ბრალი.

Я не съ тѣмъ это сказалъ, чтобъ васъ обидѣть.

მე ისე არ მითქუამს ეგე, რომ თქვენთვს მეწყუენებინა.

Это у меня вырвалось безъ всякаго размышленія.

ეგ მე წამომცდა ყოვლითურთ უფიქრებლად.

Я сказалъ это съ простоты.

მე ვჰსთქვ ეგე ალალმართლობით.

Я признаюсь, что виноватъ.

მე ჩემზედ ავიღია, რომ დავაშავე.

Я о томъ сожалѣю; мнѣ этого жаль.

მაგაზედ ვსწუხს; მე ეგ მეწყინება.

Примите, пожалуйте, мои извиненія.

ინებეთ, მიიღეთ ჩემი ბოდიში.

Прошу васъ болѣе о томъ не думать.

გთხოვ თქვენ მეტად ამას ნუღარ იფიქრებთ.

Пожалуйте, позабудьте все прошедшее.

ინებეთ დაივიწყეთ ყოველივე განვლილი.

| Разговоръ 25-й. | უბნობა 25. |
| --- | --- |
| *Какъ совѣтоваться.* | როგორ უნდა რჩევის კითხვა. |
| Что дѣлать? | რა ვქნა? |
| Какъ вамъ кажется? | თქვენ როგორ გეჩვენებათ? |
| Что намъ дѣлать? | რა უნდა ვქნათ? |
| Какъ вы думаете? | თქვენ როგორ გგონიათ? |
| Что вы совѣтуете мнѣ здѣлать? | რას მირჩევთ თქვენ მე, რომ ვქნა? |
| Чѣмъ тутъ помочь, пособить? | აქ რა უშველოთ, რით შევეწიოთ? |
| Что намъ предприять, рѣшится? | რა უნდა დავიწყოთ, რაზედ გადავწყვიტოთ, და ვქმნეთ? |
| Естьлибъ я былъ на вашемъ мѣстѣ, я . . . . . . | მე რომ თქვენს ადგილს ვიყო, მე . . . |
| Нелучшелибъ было, чтобъ . . . . | უკეთ არა სჯობს, რომ . . . |
| Мнѣ кажется лучшебы было, когдабъ . . . . | მე მგონია უმჯობესი იქნებოდა, თუ რომ . . . |
| Вы бы сдѣлали лучше, естьлибъ . . . . . | თქვენ უმჯობესს იქმოდით, რომ . . . |
| Естьлибы мы такъ сдѣлали. | ნეტავი ჩვენ ასე ვიქმოდეთ. |
| Сдѣлаемъ дѣло. | გავაკეთოთ საქმე. |
| Дайте мнѣ дѣлать, оставьте на мою волю. | დამეხსენით მე გავაკეთო, მიანდევით ჩემს ნებაზედ. |
| Очень хорошо. | დიდი კარგი. |
| Я на то согласенъ. | მე მაგაზედ თანახმა ვარ. |
| Я неспорю о томъ. | მე არ ვეცილები მაგაზედ. |

Я соглашаюсь съ вами. — მე თანახმა შევიქნები თქვენ-თან.

Вы правы, ваша правда. — თქვენ მართალი ხართ, თქვე-ნია სიმართლე.

Ну! хорошо. — მაშ, კარგი.

Это тоже, все равно. — ეგ ისევ ის არის, სულ ერთია.

Я не согласенъ на то. — მე არა ვარ თანახმა მაგაზედ.

Я не могу на то со-гласиться. — მე არ შემიძლიან მაგაზედ თან-ხმობა.

## Разговоръ 26-й. — [illegible]ანობა 26.

### *Для изъявленія кому своей радости.* — გამოსაცხადებელად ვისთვისმე თვისის სიხარულისა.

Отъ чего, сударь, вы такъ веселы? — რისაგან არის, ბატონო, რომ თქვენ აგრე მხიარულად ხართ?

Ахъ! сударь, я имѣю къ тому причину. — ოჰ! ბატონო, მე მაქვს მაგა-ზედ მიზეზი.

Я наконецъ получилъ то, чего желалъ. — მე ბოლოს დროს მივიღე ისი, რაც მსურდა.

Какъ вы щастливы, благополучны. — როგორი ბედნიერი ხართ.

Я тѣмъ восхищаюсь. — მე ამით აღვიტაცები.

Я тому сердечно радъ. — მე ამისა გულითად მოხარული ვარ.

Я тому несказано ра-дуюсь. — მე ეს გამოუთქმელად მიხარ-იან.

Вы не повѣрите, сколь эта новость меня восхи-щаетъ, радуетъ, весе- — თქვენ არ დაიჯერებთ, რომ ეს ამბავი რამდენად აღმიტაცებს, მახარებს, მახიარულებს.

жить.

Я не могу выразить вамъ радости, которую причиняетъ мнѣ эта новость, сіе извѣстіе.

მე არ შემიძლიან, გამოგითხრა თქვენ სიხარული, რომელსაც მაძლევს მე ეს ამბავი.

Я не могу изъяснить вамъ удовольствія, которое отъ того имѣю.

მე ვერ შემიძლიან, გამოგიცხადო თქვენ კმაყოფილება, რომელიც ამისგან მაქვს.

Я принимаю великое участіе въ радости, которую приноситъ вамъ эта пріятная новость.

მე მივიღებ დიდსა მონაწილეობასა სიხარულისასა, რომელსაც გაძლევს თქვენ ეს სასიამოვნო ამბავი.

Позвольте мнѣ изъявить вамъ мою радость.

ნება მეცით, რომ გამოგიცხადო თქვენ სიხარული ჩემი.

Повѣрьте мнѣ, что никто болѣе меня не беретъ участія въ вашемъ благополучіи.

მერწმუნეთ მე, რომ ჩემზედ მეტად არავინ მიიღებს მონაწილეობასა თქვენს ბედნიერებაში.

Вы меня обязываете, принимая участіе въ томъ что до меня касается.

თქვენ შემიკრავთ მე, რადგან მიიღებთ მონაწილეობასა ამაზედ, რაც მე შემეხება.

## Разговоръ 27 й.

## უბნობა. 27.

*Для изъявленія кому своего сожалѣнія.*

გამოსაცხადებლად ვისამე თვისისა მწუხარებისა.

Слышали ли вы о нещастіи господина N....?

გაიგონეთ თქვენ უბედურება ბატონისა ნ...?

Да, я слышалъ о томъ.

დიახ, გავიგონე მე ისი.

Я очень сожалѣю, что

მე დიდად ვწუხვარ, რომ [illegible]

| | |
|---|---|
| съ нимъ случилось это несчастіе. | მოხვედრია ეს რა უბედურება. |
| Это меня чувствительно трогаетъ. | ეს მე საგრძნობელად აღმძრავს. |
| Это меня сильно опечаливаетъ. | ეს მე ძრიელ მაწუხებს. |
| Это мнѣ очень прискорбно. | ეს ჩემთვის დიდად საზრუნველია. |
| Я тѣмъ искренно огорченъ. | მე ამითი უშინაგანესად გამწარებული ვარ |
| Я увѣряю васъ, что это меня чувствительно огорчаетъ. | მე გარწმუნებ თქვენ, რომ ეს მე საგრძნობელად განმამწარებს. |
| Я беру (принимаю) истинное участіе въ его прискорбіи, печали. | მე მივიღებ ჭეშმარიტს მონაწილეობას იმის მწუხარებაში. |
| Ахъ! сударь, я съ крайнимъ сожалѣніемъ узналъ о нещастіи, вамъ приключившимся. | ოი! ბატონო, მე დიდის მწუხარებით შევიტყვე უბედურება, რომელიც თქვენ შეგემთხვევიათ. |
| Ни кто столь искренне о томъ не сожалѣетъ, какъ я. | ამაზედ ისე გულითად არავინ სწუხს, როგორც მე. |
| Никто не можетъ быть такъ тронутъ, какъ я. | არავის შეუძლიან ესე აღძრულ ყოფა, როგორც მე. |
| Я узналъ эту печальную новость, съ крайнимъ огорченіемъ. | მე შევიტყვე ეს სამწუხარო ამბავი გულითადის სიმწარითა. |
| Я отъ того не уте- | მე [illegible]ან ვარ უნუგეშო. |

шитъ.

Я очень чувствую доказательство вашей дружбы, которое изъявляете вы мнѣ въ семь моемъ прискорбіи, въ сей моей печали.

მე დიდად ვჰგრძნობ გამოჩინებასა თქვენის მეგობრობისასა, რომმელსაც თქვენ მე მიცხადებთ ამ ჩემს მწუხარებაში.

## Разговоръ 28-й.

## უბნობა 28.

*Объ ученіи.*

სწავლისა თვს

Принесли ли вы вашу книгу?

მოიტანეთ თქვენ თქვენი წიგნი?

Сыщите, гдѣ мы остановились?

გამოძებნეთ, სად დავდექით ჩვენ?

Нашлиль вы, или нѣтъ?

იპოვნეთ, თუ ვერ?

Вотъ, на этой страницѣ.

აი ამ გვერდზედ.

Читайте.

წაიკითხეთ.

Произносите, выговаривайте внятно.

გამოიღეთ, გამოსთქვით გასაგონად.

Вы спѣшите.

თქვენ ეშურებით.

Потише, нетакъ скоро.

ნელა, ასრე ჩქარა ნუ.

Я васъ не разумѣю.

მე თქვენი ვერა გამიგია.

Перечитайте снова; начинайте съ изнова.

წაიკითხეთ ხელ ახლა; დაიწყეთ ისევ თავიდამ.

Вотъ теперь прекрасно.

აი ეხლა საუცხოვოა.

Я весьма вами доволенъ.

მე დიდად თქვენი მადლობელი ვარ.

Неоглядывайтесь по сторонамъ. — ნუ იყურებით იქით აქეთ.

Вы только шалите. — თქვენ მარტო გიჟობთ.

Я поставлю васъ на колѣни. — მე თქვენ დაგაჩოქებთ.

Вы ничего незнаете. — თქვენ არა იცით რა.

Я буду стараться. — მე ვეცდები.

Простите мнѣ въ этотъ разъ. — მაპატიეთ მე ამ ჯერად.

Я буду прилѣженъ. — მე ვიყვე ჯითფებ, ვიყვნებ მოდგი-ნებ.

Слушайте, примѣчайте, что я вамъ говорю. — გაიგონეთ, დაისწავლეთ, რა-საც მე თქვენ გეუბნებით.

